საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

ქ. ოზურგეთი 15 თებერვალი, 2015 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის გაწეული მუშაობის ანგარიში

2015 წლის პირველი იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით კომისიამ ჩაატარა 3 სხდომა, აქედან ორი გაერთიანებული სხდომა აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიასთან. აღნიშნული კომისიის სხდომების დროს განხილული იქნა 7 საკითხი:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2015 წლის სამუშაო გეგმის განხილვის შესახებ;
2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის, შეფასებისა და სამომავლო სტრატეგიის განხილვის შესახებ;
3) სასაფლაოების მოვლა-პატრონობის წესის შემუშავება-განხილვის შესახებ;
4) ა(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დირექტორის ინფორმაცია დაგეგმილი და გაწეული საქმიანობის შესახებ;
5) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენის გრაფიკის გაცნობის შესახებ;
6) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტში მაღალი გამავლობის ავტომობილების შესაძენად გათვალისწინებული 40,0 ათასი ლარის აუცილებელი სამუშაოების(მეწყერი, დაზიანებული გზები და სხვა) შესასრულებელ ფონდში გადატანის თაობაზე;
7) საქართველოს მთავრობის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების განხილვის თაობაზე.

პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ დაამტკიცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტეროტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2015 წლის სამუშაო გეგმა;

მეორე საკითხთან დაკავშირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის ა. ყველაშვილის ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და სამომავლო სტრატეგიის შესახებ მიღებულ იქნა ცნობად;

მესამე საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებმა, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად უზრუნველყონ სასაფლაოების დარეგისტრირების სამუშაოების ორგანიზება;

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით კომისიამ მოისმინა ა(ა).ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის დირექტორის ინფორმაცია გაწეული სამუშაოსა და სამომავლო გეგმების შესახებ;

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით კი დადგინდა, რომ კომისიის მიერ საკრებულოს ბიუროსათვის გაწეული მუშაობის ანგარიში წარდგენილ იქნას ყოველთვიურად;

მეექვსე და მეშვიდე საკითხებთან დაკავშირებით კომისიას მიკუთვნებულ უფლებამოსილების ფარგლებში გამოტანილ იქნა და საკრებულოს წარედგინა შესაბამისი დასკვნები.

კომისიის თავმჯდომარე: **ტარიელ არუშიძე**